ოქმი:**ო37. 3723159001**
თარიღი:**08/06/2023**

ოქმი N 7

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

2023 წელი, 7 ივნისი

ქ. ოზურგეთი

11.00 -13 .00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ნ. ჭანიშვილი და ტ. არუშიძე; მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, პ. კიღურაძე, ბ. თოიძე; ფრაქციის თავმჯდომარეები: მ. ჩხიკვიშვილი, ალ. ბურჭულაძე, დ. მჟავანაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ქ. ვასაძე, მ. ვაშალომიძე, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ე. გორდელაძე, ლ. კილაძე, გ. მდინარაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე, პ. სალუქვაძე, შ. თავდიშვილი, თ. ნიკოლაშვილი, ხ. თავდიშვილი, გ. შარაშენიძე, გ. სირაძე,დ. მდინარაძე, ნ. ნადირაშვილი, რ. დუმბაძე, ნ. მახარაძე, ვ. ნიჟარაძე, თ. ტუღუში, ნ. სარჯველაძე.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე-გ. ღურჯუმელიძე, მოადგილე ნ. გოლიაძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, 45 საკრებულოს წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 35-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომლის დამტკიცებამდე საკრებულოს წევრმა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ რ. დუმბაძემ ითხოვა განცხადების გაკეთება დაბა ლაითურის წყლით მომარაგებაში არსებული პრობლემების თაობაზე, სხდომის თავმჯდომარემ განუმარტა, რომ განცხადებების გაკეთებისათვის დღის წესრიგში განსაზღვრულია მე-12 საკითხი, ამასთან ერთად მუნიციპალიტეტში წყლის რესურსების გამოყენების მდგომარეობის თაობაზე დღის წესრიგში წარმოდგენილია მე-10 საკითხი, რომლის განხილვის დროს შეუძლია შეკითხვის დასმა და განცხადების გაკეთება, საკრებულოს წევრი არ დაეთანხმა ამ წინადადებას, მას მხარი დაუჭირა კოლეგამ თ. ნიკოლაშვილმა, რასაც მოჰყვა

ხმაური, სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ ჯერ სიტყვიერად, ხოლო შემდეგ ოქმში შეტანით გააფრთხილა რ. დუმბაძე და თ. ნიკოლაშვილი, რომ დაატოვებინებდა სხდომათა დარბაზს. 12.30 წუთზე გამოცხადდა 30 წუთიანი შესვენება. სხდომა განახლდა 12.00 საათზე, ხელახალი რეგისტრაცია გაიარა 32 საკრებულოს წევრმა, საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ ითხოვა მე-10 საკითხის სათაურიდან ამოეღოთ სიტყვა"სასმელი", ამ ცვლილებით, 32 -ხმით დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

36.1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში ვიქტორ დოლიძის ქუჩა N8-ში მდებარე უძრავი ქონების (ს.კ. 26.26.46.033 - ს.კ.26.26.46.033.01.001; ს.კ. 26.26.46.033.01.002; ს.კ.26.26.46.033.01.502; ს.კ.26.26.46.033.01.503 და ს.კ.26.26.46.033.01.504;) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32- ხმით

საკითხის განხილვისას საკრებულოს წევრმა პ. სალუქვაძემ დასვა შეკითხვა შენობის ფართის ოდენობისა და ა(ა).ი.პ „მუნიციპალური ინსპექციის" თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა აღნიშნული პროექტი და მხარი დაუჭირა მას.

37.2. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში ვიქტორ დოლიძის ქუჩაზე (ს/კ 26.26.46.132) მდებარე უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32- ხმით

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა და მხარი დაუჭირა პროექტს.

13.3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ" ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 სექტემბრის N30 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ნათია გოლიაძე

ქეთევან ხომერიკი

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32- ხმით

38.4. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისათვის ,,შოთა გოგუაძის“ სახელის მინიჭების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის №59 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32- ხმით

საკითხის განხილვისას საკრებულოს წევრმა პ. სალუქვაძემ ითხოვა შოთა გოგუაძის პიროვნების შესახებ ინფორმაცია.

39.5. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩისათვის ,,მცხეთის ქუჩის“ სახელის მინიჭების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32- ხმით

საკითხის განხილვისას ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ დ. მჟავანაძემ განაცხადა, რომ საკრებულოში შემოსული იყო ქ. ოზურგეთის „მოსკოვის“ ქუჩის მცხოვრებთა პეტიცია ქუჩისათვის სახელის გადარქმევის თაობაზე. განუმარტეს, რომ ხელმომწერთა კანონით განსაზღვრული რაოდენობა არ იყო საკმარისი და პროექტს არ ახლდა ქუჩის სიტუაციური ნახაზი, რის თაობაზეც ეცნობათ პეტიციის ავტორებს.

40.6. ,,ქალაქ ოზურგეთში, ზვიად გამსახურდიას მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ პარკში (ს/კ 26.26.47.162), ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილის ბიუსტის განთავსების თაობაზე“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა ხმით

საკითხის განხილვისას ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წევრმა დ. მდინარაძემ განაცხადა, რომ კარგი იქნება ამავე პარკში ექვმთიმე თაყაიშვილის ბიუსტის განთავსებაც.

41.7. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32- ხმით

საკითხის განხილვისას ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“წევრმა თ. ნიკოლაშვილმა განაცხადა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ნახევარი დარეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა რეესტრში, მუნიციპალიტეტის მერი აცხადებდა, რომ აშენდებოდა უპატრონო ცხოველების თავშესაფარი, ამ და სხვა პრობლემატური საკითხების გადაჭრაზე არაა საუბარი. თანამომხსენებელმა ლ. ბიგვავამ განმარტა, რომ ეს საკითხები არ ეხება განსახილველ საკითხს.

42.8. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 08 თებერვლის N10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ნინო ჭანიშვილი

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32- ხმით

9. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ნინო ჭანიშვილი

ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

10. ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რესურსების მართვის გაუმჯობესების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს წევრმა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ რ. დუმბაძემ დასვა შეკითხვა დაბა ლაითურის წყლით მომარაგების საქმეში არსებული პრობლემის თაობაზე. განაცხადა, რომ მრიცხველების არ არსებობის გამო ხდება წყლის რესურსების არამიზნობრივად ხარჯვა და სხვა. განუმარტეს, რომ წყლის ტარიფის დადგენა რთულ პროცედურებთანაა დაკავშირებული, მიმდინარეობს მუშაობა ამ და მრიცხველების დაყენების პრობლემის გადაჭრისათვის. საკრებულოს წევრმა გ. შარაშენიძემ განაცხადა, რომ ბახვის წყალსადენსაც არ ჰყოფნის დებეტი, განუმარტეს, რომ ვაკიჯვრის სათავეზე არის წყლის საკმარისი რაოდენობა, მაგრამ ხდება პიროვნებების მიერ გამანაწილებელი ონკანების თვითნებურად ჩაკეტვა. უჩხუბში შენდება წყლის დიდი რეზერვუარი, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის დებეტს.

ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ მოსახლეობა წყალს იყენებს სარწყავად, რაც იწვევს დეფიციტს.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ ინფორმაციაში არ იყო შესული გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. ინფორმაციის ძირითადი მიზანი იყო მოსახლეობას მიწოდებოდა ინფორმაცია ადგილობრივი წყლის რესურსების ოჯახურ მეურნეობაში გამოყენების შესაძლებლობასა და მნიშვნელობაზე.

ტვ. პირველის კორესპოდენტმა ნ. გოგელიამ დასვა შეკითხვა თუ მოწმდება როგორი წყალი მიეწოდება ანასეულის დასახლებას? არის თუ არა საშიშროება რადიაციული ნარჩენებით დანაგვიანების? განუმარტეს, რომ ანასეული ძირითადად მარაგდება ჭაბურღილის წყლით, რომლის სათავე განთავსებულია შ.პ.ს „გზამშენ 18“ -ის მახლობლად, რაც შეეხება რადიაციულ ნარჩენებს იგი დაბეტონებულია წესის თანახმად. წყლის შემოწმება ხდება გეგმის შესაბამისად.

11. ინფორმაცია ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს წევრმა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ რ. დუმბაძემ განაცხადა, რომ გარევაჭრობა ბევრი ოჯახის შემოსავლის წყარო იყო, თუ არის გათვალისწინებული ტერიტორიების გამოყოფა და მოწყობა, ადგილები ფასიანი იქნება თუ არა? განმარტეს, რომ ტერიტორიების გამოყოფა და მოწყობა იგეგმება, ადგილები ფასიანი იქნება.

12. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი